

პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი და გასაჩივრების პროცედურა

სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესიდან

ამონარიდი

მუხლი 33. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი

33.1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

33.2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე, ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

33.3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

33.4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება მხოლოდ ერთჯერ პროგრამის დასრულებამდე, თუ ეს მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას.

33.5. თუ მოდული მოდულზე დაშვების წინაპირობაა პროფესიული სტუდენტი ვალდებულია სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვადებში დაადასტუროს წინმსწრები მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგი/შედეგები.

33.6. აღნიშნული მუხლის მე- 5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში სწავლის შედეგების არ/ვერ დადასტურება ითვლება სტუდენტის მიერ მოდულის კრედიტების აუთვისებლობად და სტუდენტს აღარ აქვს მომდევნო მოდულზე სწავლის, შესაბამისად, პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

33.7. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის /წინაპირობების დაძლევის გარეშე.

33.8 სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს, როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს ასევე, შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად შეფასება.

33.9 შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

33.10 სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებშიც:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურებით;

33.11. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების შემთხვევაში, ანუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური პროგრამა) საწარმოში მისაღწევი სწავლის

შედგების შეფასებას ახორციელებს პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი მენტორი/ინსტრუქტორი;

33.12 კოლეჯსა და სანარმოს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტი მუშაობს კომპანიაში/სანარმოში ინსტრუქტორის ზედამხედველობის ქვეშ, აწარმოებს სტუდენტის ჩანაწერების უურნალს, რომელსაც ამონებს ინსტრუქტორი და მიღწევის შემთხვევაში, უდასტურებს სწავლის შედეგებს, რასაც სტუდენტი შერჩევით ადასტურებს საკვალიფიკაციო გამოცდის დროს;

33.13 მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აწვდის ინფორმაციას შედეგის დადასტურების/დაუდასტურებლობის შესახებ შეფასების ჩატარებიდან არაუგვიანეს 2 დღისა(წინმსწრები მოდულის შემთხვევაში არაუგვიანეს მეორე დღისა);

33.14 პროფესიულ სტუდენტს ჩატარებული შეფასების შედეგად მიღებული შედეგის გაცნობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში შეუძლია გაასაჩივროს მიღებული შედეგი, რის შესახებაც პროფესიულმა სტუდენტმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს წერილობითი განცხადებით(წინმსწრები მოდულის შემთხვევაში იმავე დღეს) .კოლეჯის დირექტორი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით 2 სამუშაო დღის ვადაში იწვევს სააპელაციო კომისიას საკითხის განსახილველად. კომისია განიხილავს(საკმარისი/ავთენტური მტკიცებულების არ არსებობის შემთხვევაში შესაძლოა დაინიშნოს განმეორებითი შეფასება.) და მიღებულ გადაწყვეტილებას არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი აცნობს პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს;

33.15 კოლეჯი არ არის უფლებამოსილი არსებული შეფასების საფუძველზე შეუწყვიტოს პროფესიულ სტუდენტს სტატუსი სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებამდე.